№ 34 თებერვლის 14, ხუთშაბათი. 1866—1885 თებერვლის 14, ხუთშაბათი. № 34.

„დროების" რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული განცხადების გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მან. [illegible] სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს დაუშვამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

გამოვიდა თხზულება აკაკისა

## საყმაწვილო ამბები

ძმათა ჭილაძეების გამოცემა.

იყიდება: ქუთაისს გამომცემელთა ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, თბილისში ძრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და შავერდოვის სააგენტოში. ფასი ორი აბაზი. (3—3)

კვირას, თებერვლის 17 საღამოს რვა საათზე თბილისის «სობრანიის» ზალაში იქნება გამართული

## კონცერტი

სასარგებლოდ რეალურ გიმნაზიის ღარიბ შეგირდთა, რომელნიც წელს ათავებენ კურსს. (3—1)

## „დროებისა"

ფასი თებერვლის პირველიდამ წლის დამლევამდე 8 მან. და 50 კაპ.

სოფლის მასწავლებელთათვის 6 მანათი და 50 კაპ.

წლით ხელის-მომწერნი ამ წლის ყველა ნომრებს მიიღებენ.

## რედაქციისაგან.

თუმცა მრავალჯერ გამოგვიცხადებია, რომ ავტორის სახელისა და გვარის ხელ-მოუწერელს წერილს რედაქცია ვერ მიიღებს გაზეთში დასაბეჭდად, მაგრამ მრავალნი დღესაც არ ასრულებენ ამ ჩვენს მოთხოვნილებას. ამის გამო იძულებულნი ვართ ერთხელ კიდევ გავახსენოთ ჩვენს უსახელო კორესპონდენტებს, რომ რედაქციის საცნობლად მაინც, თავიანთ წერილებს უთუოდ უნდა მოაწერონ სრული სახელი, გვარი და აგრეთვე აღნიშნონ თავიანთი საცხოვრებელი ადგილი. (3—2)

თბილისი, თებერვლის 14-ს

მთელი ქალაქი ეხლა თთ. მუხრან-ბატონისა და სუმბათაშვილის პროცესზედ ლაპარაკობს და ამ ლაპარაკს საფუძვლად მარტო უბრალო ცნობის-მოყვარეობა არა აქვს. იგი სწორედ ღირსია სრულის ყურადღებისა და ბევრს ჩვენის ცხოვრების შესანიშნავს ნაკლულევანებასაც წინ აყენებს და თვალსაჩინოდა ჰხდის.

ახლად უმაღლესი სასწავლებლიდამ გამოსული 22 წლის ყმაწვილი კაცი ჰყიდულობს ექვს ლულიან რევოლვერს და მიდის სასამართლოში თავის მოწინააღმდეგის ჯავრის ამოსაყრელად. მოწინააღმდეგე არის 70 წლის მოხუცი კაცი და დამსახურებული პირი, მაგრამ ვერც მისი ხნიერება, ვერც მისი დამსახურება ვერ ულბობს გულს ყმაწვილს კაცს, ვერ უმცირებს იოტის ოდნადაც იმ საშინელს სიძულვილს, რომელიც გულში ჩახვეული აქვს და ბოროტებისადმი აქეზებს,—და როდესაც სასამართლოს კორიდორში იგი შეხვდება თ. მუხრან-ბატონს, თავის რევოლვერის ექვსსავე ტყვიას ზედიზედ ესვრის მას გულის მოსაოხებლად.

რამ აიძულა მერე ეს ყმაწვილი კაცი ამისთანა უგვანი საქმის ჩადენისათვის? რამ დაუხშო კაცთ-მოყვარეობის გრძნობა და ხელში იარაღი მისცა ჭაღარა-თმიან მოხუცის წინააღმდეგ? იმანაო, რომ თ. მუხრან-ბატონი უსამართლოდ მამულს ედავებოდა და ამ დავამ დაღუპა მთელი მისი ოჯახიო. მამამ ცხოვრება ამ დავაში გაატარა და, ერთის მოწამეს სიტყვით, თავისი დღენი მუხრან-ბატონის ლანძღვის მეტი არა გაუკეთებია-რაო. მოკვდა მამაო და მის შვილსაც გამოუცდელს ყმაწვილ-კაცს, რომელსაც ძუძუმწოვრობის დროდამ მუხრან-ბატონის წყევლისა და ლანძღვის მეტი არა ესმოდა-რა, სამკვიდროდ მხოლოდ სადავო საქმეები რჩება და მოპირდაპირედ იგივ და იგივ მუხრან-ბატონიო.

ვთქვათ, რომ ესეც იყო; ვთქვათ, მუხრან-ბატონი მართლა უსამართლოდ მოიქცა და დავიდარაბით ჯერ მამა გააუბედურა, მერე შვილი,—სასამართლო რაღას უყურებდა, რად გარდაქმნა ეს დავა დაუსრულებლად, ბოლო-მოუღებლად. ერთბაშად მიყენებულს უსამართლობას კაცი ადვილად აიტანს და გადაივიწყებაც მოსახერხებელია, მაგრამ დაუსრულებელი დავა, მუდამ განახლება ერთისა და იმავე შეურაცხ-ყოფისა კაცს მოთმინებას დაუკარგავს და შეიძლება უკიდურესობამდეც მიიყვანოს.

ბევრს კოკა წყალს ჩაუვლია მას აქეთ, რაც მუხრან-ბატონისა და სუმ-

---

«დროების» ფელეტონი, თებერ. 14-ს

## ვერ შეირთო.

კაპიზოდი ერთის ქალის ცხოვრებიდამ

ამბავი ერნესტ დოდესი.

...მამასთან ლაპარაკი მთელს ერთს საათს გაგრძელდა, და ყოველივე, რასაც იგი ლაპარაკობდა, იყო დამცირება, სიცრუვე, სიყალბე და შეურაცხება... ნოემა ზიზღითა და შიშით უგდებდა მას ყურს: როდესაც თავის ალსარება გაათავა, ნოემა გაყვითლებული წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა, შემდეგ საჩქაროდ მივიდა ფანჯარასთან, რომელიც ბაღს გადასცქეროდა და გააღო იგი, რომ გაეგრილებინა თავის ანთებული გული. ბაღიდამ მას მოჰმუხვნით შემოხედეს ას წლოვანმა მუხებმა, საიდუმლოდ უკრავდენ თავს თავის ტოტებით და ფოთოლნი ერთმანეთში რაღაზედაც ჩურჩულობდენ.

ნოემა საჩქაროდ მოშორდა ფანჯარას და მივიდა მამასთან.

— აი, საღამოის მიაღწიეთ! უთხრა მან და თან თვალები უბრწყინავდა, თქვენ, გამოჩენილო მდიდარო, რომელსაც ბევრნი შურით გიყურებდენ, როდესაც ხედავდენ თქვენს დიდს საქმეებს. გარდა იმისა, რომ თქვენ მონაწილეობა მიიღეთ იმისთანა საქმეებში, რომელნიც თქვენს პატიოსნებას და სახელს ჩირქსა სცხებენ,—თქვენ თქვენი თავი ერთს გაქნილს კაცს ჩაუგდეთ ხელში: თქვენ მას ყოველივე გულის საიდუმლოება შეატყობინეთ და ეხლა, როდესაც იგი იმ საიდუმლოების გამოაშკარავებით გემუქრებათ, თქვენ ჰპედავთ იხმაროთ ერთი უკანასკნელი საშუალება—თქვენ გინდათ დააჩუმოთ იგი იმით, რომ თქვენი ქალი მიათხოვოთ.

— ყოველივე, რასაც ეხლა ვილაპარაკებთ, უთხრა ბ. სავარონმა,—დიდიხანია ვიცი, მაგრამ შენ მე უნდა შემიბრალო...

— იმ საზიზღარს ფალკონეის უნდა მიმათხოვოთ,—განაგრძო ქალმა ყვედრებით, რომელზედაც თქვენ თვითონ ხშირად ზიზღით ლაპარაკობდით ხოლმე!..

— დიაღ, მაგრამ ფალკონეი ისე წუწკი არ არის, როგორც შენა ჰფიქრობ,—უთხრა სავარონმა. მართალია, მისი ცხოვრების დასაწყისი ცოტა მწარე იყო; მაგრამ ეხლა იგი... დაჰკვიანდა, გამდიდრდა...

— როდის მოვა იგი?—უთხრა ცივად ქალმა.

— ხვალ, მაგრამ დარწმუნებული იყავ, რომ იგი დიდხანს მოუცდის შენს პასუხს; მაშინვე ხომ არ დაგვალრჩობს,—გინდა თუ არა პასუხი გამეცითო.

— მაშ რა არის თუ არ გვალრჩობს! შეჰყვირა ნოემამ დიდის სიბრაზით.

— არა, ჩემო კარგო, მე, როგორც ვხედავ, უმჯობესია მოგშორდე... დღეს შენ როგორღაც გაჯავრებული ხარ... შენს ჭკუაში არა ხარ.

მან ოდნავ აკოცა თავის ქალს შუბლზედ და საჩქაროდ წავიდა. როგორც კი კარები მოიხურა, ნოემამ შიშით და განწირულებით დაუძახა თავის პატიოსანს მამას:

— და ეს მამა არის!.. ოჰ, დედაჩემო! ამს სიცოცხლეში პირველად ვმადლობ ღმერთსა, რომ მან დაგიხსნა ამისთანა ქმრისაგან, დაგიხსნა—სიკვდილით!..

—

მას აქეთ, რაც სავარონი ჰფლობდა მარკიზ დე-სენტანჟის მშვენიერს მამულს, რომელიც მან აუქციონით იყიდა, იგი ყოველს წელიწადს იპატიჟებდა ყველა თავის მეგობრებს—პარიჟელებს, რომელთაც მასთან რამე საქმე ჰქონდათ. სტუმრებს იგი დიდის ამბით და ყოფით უხვდებოდა და თავის მამულში ანადირებდა.

მთელს დღეს ისე ანაწილებდა სტუმრებისათვის, რომ ერთი სიამოვნება მეორე სიამოვნებასა სცვლიდა. ნადირობა, საღამოობით ბაღში სეირნობა და თევზაობა—ერთი მეორეს მოსდევდენ.

ფალკონეის მოსვლა, რასაკვირველია, არაფერს მოუმატებდა ამ სიამოვნებას, იგი მხოლოდ უნდა დამორჩილებოდა საზოგადოების სურვილს და მის სიამოვნებაში მონაწილეობა მიეღო... მართალია, ზოგიერთა სტუმრები სიამოვნებით არ იღებდენ ამ ვაჟბატონის მისვლას, რომელსაც ცუდი სახელი ჰქონდა დავარდნილი, მაგრამ იგინი იმდენად თავაზიანები იყვნენ, რომ ამ ცუდ ხმებს თითქო არავითარს ყურადღებას არ აქცევდენ.

სავარონი დიდი ხანია დაქვრივებული იყო; ნოემა შველოდა მას სტუმრების დახვედრაში და სახლში თავის დედის მოვალეობას ასრულებდა.

ნოემა მომეტებულად უფრო ამ მამულში ცხოვრობდა, ძალიან უყვარდა მყუდროება და აქაურობა უფრო მოსწონდა, სინამ პარიჟის მღელვარე ცხოვრება. ყველანი გაკვირვებით უცქეროდენ ამ ლამაზ, ჭკვიანს და მდიდარს ქალს, რომელიც ალერსიანად იშორებდა თავიდამ ყველა თავის თაყვანის-მცემლებს და ისე ექცეო-

ბათაშვილის შორის დავა სწარმოებს; ამ საქმემ, როგორც მოწმები ამბობენ, მთელი ოჯახი პირქვე მოაქცია, თუმცა იმედი მაინც არ მოუსპო, რომ ბოლოს გამართლებულნი ესენი გამოვლენ და თავიანთ აწეწილს საქმეებს დონეზედ დააყენებენ. მაგრამ იმედი მაცდურ საგნად გადაექცათ, რომელიც რაც უფრო უახლოვდებით, თანდა-თან შორს მიდის, — და აწეწილი საქმეები უარესად იწეწებოდენ. აი, ამ გამოურკვეველმა მდგომარეობამ და დაუსრულებელმა დავამ მიიყვანა სუმბათაშვილი იმ საშინელ გარდაწყვეტილებამდე, რომელმაც ბრალდებულის სკამზე დასვა იგი.

ჩვენის სასამართლოების წესი ისეთია, რომ საქმე ვიდრე უკანასკნელ ინსტანციამდე მივიდოდეს, და საბოლოოდ გარდასწყდებოდეს, ხანდისხან ათმა და ოცმა წელიწადმა უნდა გაიაროს. მთელი ამ გრძელი ვადის განმავლობაში ორივე მოდავე მხარე იტანს ყოველ გვარს დაბრკოლებასა და უსიამოვნობას, რომელიც საქმის გამოურკვევლობას თან მოსდევს. ჩვენ იმას ვერ ვიტყვით, და ცოდოც იქნება რომ ვსთქვათ, ვითომ ახალი სასამართლოები რაშიმე ჩამოუვარდებოდენ ძველებს. თუ ახლა რომელსამე საქმეს ათი და თხუთმეტი წელიწადი უნდება, უწინ იმავე საქმეს ორმოცსამოცი უნდებოდა. ჩვენ გვინდოდა მხოლოდ გვეთქვა, რომ ახლანდელს სამართალსაც ეჭირვება გაუბრალოება, გამარტივება, მსწრაფლ-სამართლად გადაქცევა, თორემ იგი ბევრს სხვა ამისთანა მსხვერპლს კიდევ შეიწირავს, თუ შეწირული არა ჰყავს. კვლავ იქნება ესეთი ხმაურობა არ ატყდეს, იქნება რევოლვერი არ დაიდოს ნივთიერ დამტკიცებათა სტოლზე, იქნება მთელს საზოგადოებას ესეთი დრტვინვა არ შეუდგეს, — მაგრამ ამით განა მსხვერპლს ტანჯვა გაუადვილდება?

## შინაური ქრონიკა

== ამბობენ, რომ სათავად-აზნაურო სიგელის (გრამოტის) გამოცემიდამ ასის წლის შესრულების გამო თავად-აზნაურობა სამხედრო სამსახურის მოვალეობიდამ განთავისუფლდება და ამას გარდა ჩინებისა და ორდენების წყალობით ველარავინ ვერ გააზნაურდებაო.

== ჩვენ გვითხრეს, რომ ახლად გაკეთებულ ვერის ხიდზედ გამოუკიდნიათ წესი ქირის აღებისა მარტო რუსულსა და სომხურს ენაზედ; ქართულად კი დავიწყებიათ(!) გამოცხადებაო. ნუ თუ ეს მართალია?!

== ამ თვის თხუთმეტს თბილისიდან წავა სოფ. თიანეთს სამხედრო და სხვა უწყებათა წარმომადგენელთაგან შემდგარი კომისია, რომელმაც უნდა აირჩიოს ჯარების საბანაკო ადგილი. ამ კომისიას შეადგენენ: კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი ღენ.-ლეიტ. ტროცკი, ღენერ.-ლეიტენანტები თ-დი ჭავჭავაძე და თ-დი ამილახვარი, ღენ.-მაიორი გალიფეევი, თბილისის სახელმწიფო ქონებათა მმართველი და სხვანი.

== კახეთიდამ გვწერენ; ,,აქ მშვენიერი ტაროსი დაიჭირა; ისე თბილა რომ დედა-მიწაც აამწვანა და თითქმის ხეხილსაც აყვავების ნიშანი უჩანს: ხალხს იმედი ეკარგება მიწის მოსავლისა, თუ თოვლი აღარ მოვიდა, რადგან წელს კახეთში საზოგადოდ ძლიერ ცოტა თოვლი იყო.

== ჩვენი გაზეთის მე-32 №-ში დაბეჭდილი იყო მცირე შენიშნვა იმ საზიზღარ ბარბაროსულ საქციელზე, რომელიც ისმარა ოზურგეთის მომრიგებელი მსაჯულის ხელქვეითმა მ. მისის უფროსის წინააღმდეგ თებერვლის 5-ს*) იქაურს მოედანზე. «ნოვოე ობოზრენიეს» გუშინდელს ნომერში, სადაც გადაუთარგმნიათ მოხსენებული შენიშნვა, არ ვიცით რა მოსაზრებით უწოდებია ბ. მ—სთვის სეკრეტარი, რადგანაც ჩვენ ბოროტ-მოქმედს ვასახელებდით, მხოლოდ როგორც «ხელ-ქვეითსა» ბატ. ბ—ნისას. მ—ი ოზურგეთის მსაჯულის სეკრეტარი კი არა, თანაშემწეა.

== „ნოვ. ობოზრ.“ გაუგია, რომ ბ. რუშეტოვისა და მისი ცოლის მკვლელობის საქმის გამო დაუჭერიათ პოლიციის განყოფილების მწერალი მ., რომელზედაც თურმე საყურადღებო საფუძვლებზე დამყარებული ეჭვი აქვთ, რომ იგი მალავდა რუშეტოვების მკვლელთ. სხვათა-შორის დატუსაღებულის მ—ეს ხელზე უპოვნიათ რუშეტოვის ბეჭედი.

*) ხსენებულ ნომერში შეცდომით იყო ნაჩვენები ბოროტ-მოქმედების დროდ იანვრის 5 — უნდა ყოფილიყო თებერვლის ხუთი.
რედ.

## „დროების“ კორესპონდენცია

ქ. ქუთაისი, თებერვლის 12-ს. ქართული საეკლესიო გალობის აღდგინების საქმეს ახალი ხანა დაუდგა. მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ იმერეთის მწყემს-მთავარმა, სამღვდელოების ყრილობის გარდაწყვეტის თანახმად, უკვე დანიშნა სათანადო კომიტეტი, რომელსაც წინადადება მისცა დროიანად და გულს-მოდგინედ მოეკიდა საქმისათვის ხელი და ყოველი საშუალება გამოეძებნა საქმის წარმატებით წაყვანისათვის. კომიტეტი უკვე შეეკრა პირობით ცნობილს მგალობელს ბატ. ფილ. ქორიძეს. ამ პირობის ძალით ბატ. ქორიძემ უნდა გარდაიღოს ნოტებზედ სამი წირვის წესი სულ ოთხასი ნომერი ორის წლის განმავლობაში, თუ, რასაკვირველია, რაიმე მოულოდნელი დაბრკოლება არ შეხვდა. კომიტეტი მოვალედ იხდის თავის თავს მიუჩინოს ბატ. ქორიძეს სამი საუკეთესო მცოდნე ქართულის გალობისა. ბატ. ქორიძემ ყოველს ორს თვეში უნდა წარუდგინოს კომიტეტს ნოტებზედ გარდაღებული ნომრები (რამდენსაც მოასწრებს) და თუ ეს ნომრები კომიტეტმა და მცოდნე პირებმა იცნეს ნამდვილ გარდაღებულად, მაშინ ბატ. ქორიძე მიიღებს ხვედრს სასყიდელს. მთავარი პირობა ის არის, რომ გარდაღებულს გალობაში იქმნეს სასტიკად დაცული ნამდვილი კილო და ხასიათი გურულის გალობისა. ოთხასი ნომრისათვის მიეცემა ბატ. ქორიძეს სულ ორი-ათას-ოთხასი მანათი (2400 მან.) იმერეთის მწყემს-მთა-

---

და კაცებს, როგორც მეგობრებს. ნოემა მაგარის ხასიათისა და ზნეობის ქალი იყო, მაგრამ ეს ფასს არ უკარგავდა მის ქალურ სინაზეს და სიკეკლუცეს, რომელნიც შეადგენდენ ამ ოცის წლის ქალის საუკეთესო საუნჯეს.

—

ერთხელ დილით, რვა დღის შემდეგ, როდესაც ფალკონეი მოვიდა, სავარონმა დაუძახა თავისთან ნოემას კაბინეთში და უთხრა:

— რას იტყვი? როგორ მოგწონს იგი?

— შენა მკითხავ, როგორ მომწონს ეს ორმოცი წლის, გაცვეთილი, მელოტი, უკბილო ფრანტი, რომელსაც სახეზედ მხოლოდ სისაძაგლე ეტყობა და რომელიც სისაძაგლის მეტს არაფერს გაგრძნობინებს.

— შენ ცოტა არ არის სასტიკად ექცევი მას... საქმე ის არის, რომ ის ამაზედ მეტს აღარ მოითმენს, იგი თხოულობს ეხლავე პასუხი მივცეთ...

— პასუხს მე თვითონ მივცემ, — ხვალ! მიუგო ნოემამ.

მეორე დღეს, როდესაც ბაღში იგი და ფალკონეი მარტოდ-მარტო დარჩენ, ნოემამ უთხრა მას:

— მოწყალეო ხელმწიფევ, მამა-ჩემმა შემატყობინა, რა პირობითაც გინდათ შემირთოთ, ეს პირობა ჩვენ ყველასათვის დამამცირებელია!.. თუმცა ძალიან მაკვირვებს თქვენი ამ ნაირი საქციელი, მაგრამ მაინც არა მჯერა, რომ თქვენ პატიოსანი კაცი არ იყოთ. იმედი მაქვს, რომ თქვენს განზრახვას დაუტევებთ, ამისთვის რომ იმის ასრულება ყოვლად შეუძლებელია. ხომ იცით, რომ არ მიყვარხართ...

— რასა ბრძანებთ! მიუგო ფალკონეიმ, — არც მიფიქრია, რომ თქვენ გაცნობის უმალვე შემიყვარებდით. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ გულ-გრილად არ მოექცევით კაცს, რომელიც მზად არის მთელი თავის სიცოცხლე თქვენ შემოგწიროთ...

— თქვენ როგორ გინდათ მაგაში დამარწმუნოთ, როდესაც მე ვიცი, რომ თქვენ ისე მიყურებთ, როგორც ლამაზ ნივთს, რომელიც გინდათ მიიღოთ ჯილდოდ იმ საზიზღარის საქმისა, რომელიც მამაჩემთან დაგიჭერიათ?

— მაშ მამა თქვენმა კიდეც გითხრათ?

— დიაღ, ყოველისფერი მითხრა.

— მაშ თქვენც კარგად უნდა იცოდეთ, რომ აქ ბევრი ლაპარაკი საჭირო აღარ არის! იმედი მაქვს, რომ თქვენ მამის მორჩილი ქალი ხართ და გიყვართ იგი. დამერწმუნეთ, — პირ-და-პირი თქვენი მოვალეობა, მამა თქვენს მსხვერპლად შეეწიროთ თუმცა თქვენ ეს პირველად მძიმად გეჩვენებათ, მაგრამ როდესაც დაახლოვებით გამიცნობთ...

— განა თქვენ თვითონ არ იცით, რომ უფრო უმჯობესი იქმნებოდა ჯერ ჩემთვის გეკითხათ, გავთხოვდებოდი თქვენზედ თუ არა.

— განა თქვენ-კი უარს მეტყოდით, ყოველივე რომ თქვენზედ ყოფილიყო დამოკიდებული? ამისათვის მეც აღარაფერი გითხარით... მე თქვენ მიყვარხართ...

— სტყუით! თქვენ ჩემი სიყვარული არ შეგიძლიანთ; მე და თქვენ სულ რვა დღეა, რაც გავიცანით...

— დიაღ! მაგრამ ამ რვა დღის განმავლობაში სრულიად გაგიცანით და შემიყვარდით, თქვენი თავის დანებება არ შემიძლიან...

ნოემას სისხლი თავში აუვარდა.

— უმჯობესია სთქვათ, რომ თქვენ ჩემი მზითვის თავის დანებება გეძნელებათ! — უთხრა მან. ეხლა თქვენ ჩემი მზითევი გიზიდავთ და შემდეგ ის მემკვიდრეობა, რომელსაც ჩემის მშობლებისაგან მივიღებ.

მან დაცინვით და მცბიერებით გაიღიმა და უთხრა მონანებით.

— ჩემი წმინდა განზრახვანი დამიცავმენ იმ შეურაცხებისაგან, რომელსაც თქვენ მაყენებთ.

ნოემა შეკრთა, შუბლზედ ხელი გადისვა, თითქოს რისამე მოსაზრება უნდაო და უთხრა:

— უკანასკნელად გთხოვთ დაეკითხოთ თქვენს გონებას, შებრალებას და სიმართლის გრძნობას. თუ თქვენ ნამდვილად გიყვარვართ, ჩემს უბედურებას არ მოინდომებთ; მეც არ გაგიღებთ თქვენ გულს და მხოლოდ იმას ვეტყვით თქვენ იმისთვის არა ხართ დაბადებული, რომ მე გამაბედნიეროთ. წაიღეთ ჩემი მზითევი, თუ გინდათ, და მე-კი თავი დამანებეთ.

— ჩემის მხრით ეგ ხომ უზდელობა იქნება...

— მაშ თუ აგრე გეშინიანთ, თავი დამანებეთ! შეჰყვირა ნოემამ გაბრაზებით.

— თქვენ მემუქრებით! მიუგო ფალკონეიმ. — მერე მოუახლოვდა მას, დაუჭირა ორივე ხელი, გადმოიტრიალა თვალები და უთხრა.

— თქვენ თითონ უნდა თრთოდეთ! უბედურო! ან იქნება არ იცით, კმარა, ერთის სიტყვის თქმა რომ მამათქვენი სამართალში მისცენ სხვის საკუთრების მითვისებისათვის... მე ყოველივე საბუთები ხელში მიჭირავს... და მსურს ის საბუთები ჩავაბარო მხოლოდ ჩემს ცოლს... უთხრა მან და დაიმდაბლა ხმა.

ნოემა გაუშვებინა ამ საზიზღარს კაცს და ძლივს იჭერდა თავს. როდესაც გონზედ მოვიდა, მან მიიხედ-მოიხედა და შორს დაინახა ფალკონეი, რომელიც საჩქაროდ მოშორდებოდა მას.

ვარი სთხოვს გურიის ეპარქიის მმართველს, ეპისკოპოსს ალექსანდრეს, რომ მანც თავისის მხრით მოიწვიოს ამ საქმეში მონაწილეობის მისაღებად გურიის სამღვდელოება. რასაკვირველია, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მისი მეუფება იმგვარსავე განკარგულებას იქმს გურიაში, როგორიც მოხდენილია იმერეთის ეპარქიაში. ისიც საეჭვო არ არის, რომ გურიის სამღვდელოება არ ჩამორჩება იმერეთის სამღვდელოებას და თავის შესახვედრს წვლილს შემოიტანს ქართული გალობის აღდგინებისათვის, მით უმეტეს, რომ პირველი ადგილი ეჭირება გურულს კილოს, რადგან, მაინცა-და-მაინც რომ ვსთქვათ, განსაკუთრებული იმერული კილო არც კი არსებობს საეკლესიო გალობისა: ამას გარდა, აქ ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ ეპისკოპოსი ალექსანდრე დაუბრუნებს იმერეთის სამღვდელოებას იმ ფულს, რომელიც უკანასკნელმა შეჰკრიბა და გაუგზავნა მისს მეუფებას ქართულის გალობის აღსადგენელად და ნოტებზედ გარდასაღებად, რადგან იმერეთის სამღვდელოებამ შესწირა ფული იმერულ-გურულის გალობის ნოტებზედ გარდაღებისათვის და არა ქარბელაშვილის გალობის აღსადგენელად. ეს ფული ცოტა ფულს არ შეადგენს და თუ თავისის პირდა-პირის დანიშნულებისამებრ იქმნა მოხმარებული, კარგს სამსახურს გაუწევს გურულის გალობის აღდგინების საქმეს.

## წერილი რედაქტორთან

მე ქვემორე ამისა ხელის-მომწერელი ბადრა ანუა, მოვაჭრე დ. ოჩამჩირეს (აფხაზეთში) გიახელით ქ. ტბილისს სავაჭროდ იანვრის 30 და ჩამოვხტი ანანოვის ქარვასლის ოთახში № 87. თებერვლის სამს, ღამის ორს საათზე, როცა დავბრუნდით ბინაზე, ჩემდა განსაცვიფრებლად ჩემი ოთახის კარი ღია დამხვდა. (როგორც შემდეგ შევიტყე ნომრების პატრონს ორ-ორი კლიტე ჰქონია) მივვარდი ლოგინის სასთუმალს, სადაც შენახული მქონდა ცხრა ას სამოცდა ათი (970) მან. და ერთი გროშიც ველარ ვიპოვნე! მაშინვე მივმართე სადგომების პატრონს: მე არა ვიცი რაო, გულ-ცივად მიპასუხა იმან. მივირბინე პოლიციის მეხუთე განყოფილებაში და ვსთხოვე ჯეროვანი ღონის-ძიება მიეღოთ, მაგრამ დალოცვილმა მედღევე კვარტალნიმ, თითქო არაფერი მომხდარიყოსრა, მითხრა — „ახლა არ მცალია და ხვალ მოვალო“. მეორე დღეს დილის ცხრა საათზე მოვიდენ პრისტავი და მეორე კვარტალნი — მაგრამ გვიანღა იყო: ამ დროის განმავლობაში ქურდი ფულსაც და ქურდობის კვალსაც ისე მიმალავდა, რაღა თქმა უნდა, რომ გამომძიებლობა ვერას გახდებოდა. ჩვენ გული გვწყდება, რომ პოლიციამ მაშინვე არ მიიღო საჭირო ღონის-ძიებანი ქურდობის აღმოსაჩენად. გთხოვთ ბატონო რედაქტორო, ეს წერილი დაგვიბეჭდოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში და თუ ჩვენს დანაკარგს არა ეშველება-რა, სხვები მაინც გააფთხილოს ჩვენმა უბედურმა შემთხვევამ. სასურველია აგრეთვე, რომ პოლიციის მეხუთე განყოფილებას ყურადღება მიაქცევდეს ბ. პოლიცმეისტერი დროზედ ღონის-ძიების მიუღებლობისათვის.

ბადრა ანუა.

თებერვლის 10-ს.

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

თებერვლის 12-ს

პეტერბურგი. ვიაზემსკის სახლის ჩამოქცევის დროს დაზიანებელთ ხელმწიფე იმპერატორმა უწყალობა 2,000 მანათი.

გუშინ უმაღლესთა პირთა დასწრებით აკურთხეს ახალი სადგომი სახელმწიფო რჩევისა მარიინის სასახლეში. გუშინვე იყო პირველი სხდომა რჩევისა ახალს სადგომში.

ამბობენ რომ დაუმტკიცებიათ პოლუ-იმპერიალებისა და ვერცხლის მაღალი ხარისხის მანეთების ახალი ფორმა, რომლებზედაც იქნება სახე ხელმწიფე იმპერატორისა. ახალი ფორმის ვერცხლის ფულის დიდ-ძალი რიცხვის კეთებას იმას აწერენ, რომ ვითომც მომავალი წლის იანვრის პირველიდამ შემოღებული იქნებაო ვერცხლის ფულის ვალიუტა.

რეველი. ნავოსნობის მოძრაობა დაიწყო. ბალტიის ზღვაზე ყინული აღარ არის.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში გლადსტონმა სთქვა, რომ ავღანისტანის შესახებ წინანდელისა და ახლანდელ სამინისტროსაგან წარმოთქმული აზრები ჯერაც ძალაში არიან უცვლელადაო.

ბერლინი. გამოაცხადეს ახალი ბაჟის შემოღება ფორსსა (СОЛОДЪ) და ფქვილეულობაზე.

ათინა. ტრიკუპისს პალატამ ნდობა გამოუცხადა და შემდეგ დათხოვნილ იქმნა. ახალი არჩევა თებერვლის 14 არის დანიშნული.

ბერლინი. კონგოს საქმეებზე შეკრებელ კონფერენციაზე გამოაცხადეს, რომ ახალი სახელმწიფოის — კონგოს დაარსება თითქმის ყველა სახელმწიფოებმა შეიწყნარესო.

პარიჟი. აქ იყო ირლანდიელთა კრება, რომელშიაც წინადადება შეიტანეს, რომ განაგრძონ დინამიტით მოქმედება ლონდონში და ინგლისის სხვა ქალაქებშიაც.

ხარკოვი. დღეს სასამართლო პალატაში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით დაიწყო გარჩევა ტაგანროგის დამოჟნის ბოროტმოქმედებისა. თავჯდომარეობს პალატის უფროსი თავ-მჯდომარე ზავადსკი. ამტყუნებენ პალატის პროკურორი ზაკრევსკი, მი-

---

საწყალმა უქმაგო ქალმა ცხარედ დაიწყო ტირილი. განწირულება, სირცხვილი, შეურაცხება — აღრჩობდენ მას. იგი ამ მდგომარეობიდამ გამოსვლის ნუგეშს არსაით ხედავდა!.. ორში ერთი უნდა ამოერჩია: ან სიკვდილი, ან სირცხვილი!

როგორ, სად, ვინ დამიფარავს! იძახდა საწყალი ქალი და ცრემლებს ველარ იმაგრებდა.

—

მეორე დღეს დილით, შვიდს საათზედ თორმეტამდის სავარონის სტუმრები წავიდენ ტყეში, რომელიც ნამისაგან ბრწყინავდა. მზე ის იყო ამოვიდა და ოქროს ფერად ჰფერავდა ხეების გაყვითლებულს კინწიროებს, რომელთა შორის ფრთხიალებდენ და გალობდენ გაღვიძებულნი ფრინველნი. მშვენიერი დილა იყო და უნებურად აგონებდა ნოემას ბედნიერს სიყმაწვილეს, რომელმაც ამ მშვენიერი ბუნების შორის განვლო. ახლა?!.

ამ დილით ნოემას ტანისამოსი მცირე რამით განირჩეოდა დანარჩენ მონადირეთა ტანისამოსისაგან. ქერა ნაწნავები სანადირო ქუდის ქვეშ ჰქონდა შეკეცილი; წელზედ საფანტის ჩასაყრელი იარაღი ეკრა; მხარზედ თოფი ჰქონდა გადაგდებული, რომელსაც სიყმაწვილითვე ძალიან კარგად ხმარობდა.

— საკვირველი ქალია! ჰფიქრობდა თავის თავად ფალკონეი, როდესაც უცქეროდა ნოემას მშვენიერს სახეს და მის მამაცურს სიარულს: „უსათუოდ ქინიანი, თავქეიფი და ჯიუტი იქნება! მაგრამ ლამაზი-კი არის! მოიცა, მოგირიგდები...“

მონადირენი ერთი ჭაობის ნაპირს მივიდენ; იქ ხეების ქვეშ დასხდენ და ნადირს ელოდენ. ნოემამ თავის მამის და ფალკონეის შუა დაიჭირა ადგილი და, მოშორებული იყო როგორც ერთზედ, ისე მეორეზედ. მალე ყველანი გაჩუმდენ; სრული მყუდროება და სიჩუმე ჩამოვარდა, რომელსაც ხანდისხან ხეების გამხმარი ტოტების ჩახაჩუხი და ნადირის მძებნელნი მოსამსახურენი არღვევდენ.

ნოემა, ღრმა ფიქრში წასული, ერთის ხის ქვეშ იჯდა და თოფი მზად ეჭირა. მას სახეზედ არ ეტყობოდა, რომ ნადირს ელოდა, — ნადირობა მას თითქოს არ ასიამოვნებდა და მისი მოელვარე თვალები შორს სადღაც გაიცქირებოდენ.

უეცრივ ნოემას თვალ-წინ წამოუდგა გაქნილი ფალკონეი. მან დაინახა იგი ხეების ქვეშ: იგი ზურგ შექცეული იდგა და მთლად მოლოდინში იყო შთანთქმული.

— რა იქნება, მე რომ ეხლა!.. გაუელვა ნოემას ფიქრში და მოაგონდა გუშინდელი ლაპარაკი ამ საძაგელს კაცთან...

უეცრად თოფი მოიღო და ფალკონეისკენ გაიშვირა; ჩახმახი ფეხზე შემოსვა, დაიღო თავი და გაუმიზნა... ამ დროს ფალკონეი მობრუნდა, ნოემამ დაინახა ფალკონეის სახე და მაშინ მიხვდა, რაშიაც იყო საქმე; გვერდზედ გადახტა, დაუყვირა მას და თან ცდილობდა — მღელვარება არ შესტყობოდა მის ხმას.

— ღმერთო ჩემო! მაგას რას შვრებით? ან იქნება კურდღელი გგონივართ?

იგი მივიდა ნოემასთან, შიშისაგან გაყვითლებული, და სულ იმაზედ ფიქრობდა, რა განსაცდელსაც გადარჩა... ფალკონეი უცქეროდა მას თვალებში და ათას ნაირად იგრეხდა ტუჩებს, რომ როგორმე გაეღიმა... უნდოდა ეთქვა ნოემასთვის, რომ მან თოფის ხმარება არ იცის... მაგრამ ნოემამ მას პასუხი არ მისცა: იგი იდგა დამშვიდებული; არც ერთი ასო სახისა არ შეჰკრთომია და მის თვალებში მხოლოდ მისდამი სიმძულვარე იხატებოდა...

ფალკონეი ძალიან შეშინდა.

—

— აი, თქვე უხეირო მონადირენო! რას შვრებით, რაზედ ფიქრობთ? ხომ ხედავთ, თქვენ თვალწინ ფრინველები ირევიან! აგერ, აგერ, — შეხედეთ!

ესა სთქვა სავარონმა და სამჯერ ზედი ზედ ესროლა ხოხბებს.

— ჩვენ ფრინველებისათვის არა გვცხელა, მიუგო ფალკონეიმ სავარონს: — ჩვენ აქ უფრო დიდი საქმე გვაქვს. მე და ნოემა მოვრიგდით და დავრწმუნდით, რომ ბევრით უმჯობესი იქნება ერთმანეთს არ დავუკავშირდეთ...

— დიაღ, ბ-ნმა ფალკონეიმ უკან დამიბრუნა მიცემული სიტყვა — გმადლობთ, — უთხრა მშვიდად ნოემამ ფალკონეის და ამპარტავნულად განშორდა.

— ეს რას ნიშნავს? ჰკითხა გაკვირვებით სავარონმა.

— მე ყოველივე კარგად მოვიფიქრე, მიუგო ფალკონეიმ, — და დავრწმუნდი, რომ ამისთანა ქალის შერთვა არ შემფერის. მე და თქვენ სხვაფრივ მოვრიგდეთ. ჩვენ ხომ ერთმანეთისანი ვართ!

ფალკონეი დააშტერდა მიმავალს ნოემას და თავის თავად სთქვა: „მაშ რა მექნა! ეგ რომ შემერთო, იქნება მეორე დღესვე თავი აღარ მბმოდა. ჯერ ეხლა რა ნაირად შემაშინა ამ გიჟ-მაჟმა გოგომ!

სი ამხანაგი ბაშკიროვი და ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგი დუქმასოვი. ბრალდებულთ იცავენ: პასსოვერი, პლევაკო, ალექსანდროვი, კორობჩევსკი და სხვ.

თებერვლის 13-ს.

**ლონდონი.** ინდოეთის საქმეთა მინისტრის თანაშემწემ კროსმა საზოგადოებათა პალატაში გაამტყუვნა ხმა, ვითომც ინდოეთში მყოფ ბრიტანიის ჯარს მომატებოდეს რიცხვი. გლადსტონმა განაცხადა, რომ ინგლისის მმართებლობა ჰპოულობს ღონისძიებათა გარკვეულ იქმნას ავღანის სამზღვრები გერატიურთ. გუშინვე საზოგადოებათა პალატაში ნორსკოტმა შეიტანა წინადადება, რომლითაც ჰკიცხავდა კაბინეტის პოლიტიკას ეგვიპტეში. გლადსტონი იცავდა თვისს პოლიტიკას; იგი უჩვენებდა რამდენად სასაშიშროა ეგვიპტეში ინგლისის ფორმალურის მმართებლობის დაარსება და დაუმატა, რომ ინგლისელები დასტოვებენ სუდანს, როცა კი იქ და ეგვიპტეში დამყარდება მკვიდრ-საფუძვლიანი წესწყობილება.

სალამოს მომხდარს კონსერვატორების კრებაზე, მარკიზ სალისბიურმა განაცხადა, თუმცა ამ ჟამად გასაჭირი მდგომარეობაა, მაგრამ კონსერვატიულის დასის მეთაურნი მაინც კიდე იკისრებენ სახელმწიფოს მმართვას, თუ ვინიცობაა პარლამენტმა გაჰკიცხა გლადსტონის პოლიტიკაო.

## ცნობანი

### ნაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 თებერვლიდამ 1 მარტამდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| აჟაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა— — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | 7 კ. |

### რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
ε საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

## განცხადებანი

რადგანაც 1886 წელს მკათათვის 1-ს თავდება ვადა, როდემდისინაც დაქირავებული იყო **სახლი**, გორში დაარსებულის, ამიერ-კავკასიის **სამასწავლებლო სემინარიისათვის**, ამიტომ მოიწვევიან ის პირნი, რომელთაცა სურთ მიქირავება, ანუ აშენება სახლისა მოხსენებულ სასწავლებლისათვის. შენობას უნდა ეჭიროს 534 კვადრატიული საჟენი და იპყრობდეს 47-ს **ოთახს**, რომელთა სიმაღლე $5^1/_2$—6 არშინამდე უნდა ადიოდეს. სახლთან უნდა იყვეს ორ დღიურზედ (ერთ დესიატინაზე) არა ნაკლები ცარიელი ადგილი.

დაწვრილებით ამ საქმის გარემოებათა შეტყობა შეიძლება ამიერ-კავკასიის საოსტატო სემინარიის კანცელარიაში. (3—3)

**ქაგა მოკკო**

ს. სიუ და კო.

(Ц. 2592). (46—2)

**ისყიდება**

მეტად რიგიან ფასად **ქუთაისიდგან ექვს ვერსტზედ**, მახლობლად გელათის სტანციისა, ტყიბულის რკინის გზის გზაზედ **აგარაკი (დაჩა)**, ორ-ეტაჟიანი **ქვის სახლი**, ოთხი ხის შენობა და **ცხრა დესიატინაზედ მეტი** მიწა. შეკითხოს **ქუთაისში**, გუსტავ გაბრიელის-ძეს მალევსკის. (3—2)

## წლიური ანგარიში

### კუხისა და გუბის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობისათვის

1884-ის წლისათვის.

ამხანაგობა გახსნა 28 წევრმა 5-ს მაისს 1884 წლისა.

საანგარიშო წლის განმავლობაში

| შემოვიდა: | მან. კაპ. | გავიდა: | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული. . . . | 1,972— „ | სესხად. . . . . . | 4,644—50 |
| სარგებელი დაჭერილი გასესხების დროს. . . | 319—94 | სარგებელი ვადაზედ წინად გადახდილის ფულისა . . . . . | 6—99 |
| სასარგებლოდ შემოტანილი . . . . . . | 1,507— „ | სამმართველოს ხარჯი. . | 41—25 |
| დაბრუნებული ნასესხი. . | 1,093—50 | სხვა-და-სხვა ხარჯი. . . | 15— „ |
| სხვა-და-სხვა შემოსავალი. | 10—17 | | |
| ჯამი. | 4,902—61 | ჯამი. | 4,707—74 |

პირველს იანვარს 1885 წლისა არის:
ამხანაგთა რიცხვი 81.

| | მან. კაპ. | | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული. . . . | 1,972— „ | გასესხებული . . . . | 3,551— „ |
| სასარგებლოდ შემოტანილი . . . . . . | 1,507— „ | დანაშთენი ნაღდ ფულად. | 194—87 |
| მოგება . . . . . . | 266—87 | | |
| ჯამი. | 3,745—87 | ჯამი. | 3,745—87 |

წილის ფულის თითო მანათმა საანგარიშო წლის განმავლობაში (მაისიდან დეკემბრამდის) მოიგო 14 კაპეიკი.

თავმჯდომარე რჩევისა: კ. ზ. ადეშიბაია.

რჩევის წევრნი:
სოლომონ წერეთელი.
ლევან კაკაბაძე.
ეგნატე გორდაძე.
დავით კაკაბაძე.
თედორე მოსეშვილი.

გამგეობის წევრნი:
ნესტორ წერეთელი.
მღვდელი პეტრე ცაგერეიშვილი.
გრიგოლ ბალანჩივაძე.

(1—1)

## გაყიდვა 5% სახელმწიფო მომგები ბილეთებისა

### ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ბილეთები იყიდება ს. პეტერბურგის ბირჟის ოფიციალურ ფასად; ყიდვის დროს უნდა შემოტანილ იქმნას 20 მან. ბილეთზე, დანარჩენი ფულიკი უნდა შემოიტანოს მყიდველმა თვე-და-თვე, როგორც თვითონ განსაზღვრავს — თითო თუმნობით, თუ ხუთ-ხუთ მანათობით. ვადაზე შემოსატანი გადასახადის დამგვიანებელს ეძლევა კიდევ 30 დღე საშეღავათოდ. ზეის მიცემის დღიდან ყოველივე მოგება, რომელიც ხვდება ნაყიდს ბილეთს, სრულად ეკუთვნის მყიდველს. კანტორის სასარგებლოდ არაფერი არ გამოერიცხება მოგებს. ბილეთის მყიდველს ეკუთვნის აგრეთვე ყოველივე მოსალოდნელი საკურსო ფასის მომატება ბილეთზე. მოგების ტირაჟი არის ხოლმე: პირველი სესხის ბილეთებისა — იანვრის 2-ს და ივლისის 1-ს; მეორე სესხის ბილეთებისა მარტის 1-ს და ენკენისთვის 1-ს ყოველ-წლივ შემდეგის პლანით: ერთი მოგება არის 200,000 მანათიანი, ერთი 75,000 მან., ერთი 40,000 მანათიანი, ერთი 25,000 მანათიანი, სამი 10,000 მან., ხუთი 8,000 მან. რვა 5,000 მან. ოცი 1000 მან. და ორას სამოცი 500 მანათიანი. მომგები ბილეთის დაზღვევა რომ ტირაჟში არ გამოვიდეს ღირს — ათი შაური ბილეთზე. **აგენტი ს. პეტერბურგის ბანკირის ფ. ა. კლიმის კანტორისა: ი. კ. საულიდი ბათუმში.**

ქვემო-ხსენებული კანტორა ამით ამოწმებს, რომ აგენტი **ი. კ. საულიდს**

მინდობილი აქვს ჰყიდოს კანტორის სახელით ხვედრი ფულის დაცალებით 5% სახელმწიფო მომგები ბილეთები ორთავე სესხისა, აგრეთვე მიიღოს ისინი დასაზღვევად ტირაჟში გამოსვლიდან, თანახმად კანტორისაგან მიცემულის ვექილობისა.

ბანკირის განტორა ფ. ა. კლიმისა ს. პეტერბურგში.

(10—4)

*Дозв. ценз. Тифлисъ, 13 Февраля 1885 г.* სტამბა არ. კალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.